

**ფლორვილ აქუა (Florvil Aqua)
Florfenicol**

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები ფხვნილი (პრემიქსი), გამოიყენება ვეტერინარიაში.



შემადგენლობა

პრეპარატის 1გ შეიცავს 500მგ ფლორფენიკოლს.

შეფუთვის ფორმა:

პრეპარატი გამოდის 100გ, 500გ, 1000გ თეთრ პოლიეთილენის ქილებში და 25 კგ თეთრ პოლიეთილენის ვედროში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:
სისტემური ანტიბაქტერიული პრეპარატი

ფარმაკოლოგიური თვისებები

ფლორვილ აქუას შემადგენლობაში შემავალი ფლორფენკოლი წარმოადგენს ფლორფენიკოლ თიამფენიკოლის მონოჰიდრატის წარმოებულს, რომელიც ქლორფენიკოლისგან განსხვავებით შეიცავს p-მეთილ სულფონილის ჯგუფს, p-მეთილ ნიტრო ჯგუფის ნაცვლად. ფლორფენიკოლი ხასიათდება მოქმედების უფრო ფართო სპექტრით, თიამფენკოლთან და ქლორფენიკოლთან შედარებით. ფლორფენიკოლის მაღალი ეფექტურობა ეფუძვნება ფტორის ფერმენტული აცეტილირების ინჰიბირებას, რომელიც ანაცვლებს ჰიდროქსილის ჯგუფში მე-3 ნახშირბადის ჯგუფს. პრეპარატს ახასიათებს ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური მოქმედება, რომელიც ეფუძვნება ბაქტერიულ რიბოსომებში პროტეინის სინთეზის ინჰიბირებას.

ფლორვილ აქუა მაღალეფექტურია გრამდადებითი (Bacillus sp., Corinebacterium sp., Erysipelothrix rhusopathie, Listeria Monocytogenes & Streptococcus sp.) და გრამუარყოფითი ბაქტერიების (Flavobacter sp., Cytophaga sp., Vibrio sp., Flexibacter sp., Pseudomonas sp., Aeromonas sp., Actinobacilus sp., Bordetella sp., Francisella tularensis, Haemophilus sp., Pasteurella multocida, Yersinia sp., Campilobacter fetus, Borrrlia sp., Ve Leptospira sp.), ანაერობების (Actinomices sp.,

Fusobacterium sp.) & Mycoplasma sp., Chlamydia sp., Ehrlichia sp., Coxiella burnetti, Anaplasmas მიმართ.

პერორალური გზით მიცემისას ფლორფენიკოლი სწრაფად და ხარისხიანად ადსორბირდება (თევზები, რომლებიც ბინადრობენ 5-15°C ტემპერატურის წყალში). იგი ნაწილდება თევზის სხეულის ყველა ორგანოსა და ქსოვილში (96,5%). პრეპარატის კონცენტრაციები მსგავსია კუნთებში, სისხლსა და პლაზმაში, მაგრამ შედარებით დაბალი კონცენტრაციით ცხიმოვან ქსოვილებში და ცნს-ში. პლაზმაში პრეპარატის 25% და მისი მეტაბოლიტები მიიტანება ტვინში. პლაზმაში პრეპარატის კონცენტრაცია პიკს აღწევს 4მკგ/ლ 10.3 სთ-ში 10მგ/კგ დოზირების დროს. ნახევრად გამოყოფის დროს 12.2 სთ. სწრაფად შეიწოვება და დოზის ნაწილი გარდაიქმნება ფლორფენიკოლის ამინის მეტაბოლიტად და გამოიყოფა. გამოყოფის სისწრაფე (საერთო მონაკვეთი) შეადგენს 1.4 მლ/წთ/კგ.

ორაგულისნაირებში, ფლორფენიკოლი წყლის 8,5-11,5 °C ტემპერატურაზე, სწრაფად შეიწოვება და გარდაიქმნება მეტაბოლიტად ამინ ფლორფენიკოლად. Aeromonas salmonicida, Vibrio anguillarum & V. Salmonicida-ს მოსასპობად თევზებში, გამოიყენება 10მგ/კგ ფლორფენიკოლი, წყლის ზემოაღნიშნულ ტემპერატურაზე. რომლის მინიმალური კონცენტრაცია მითითებულია პლაზმაში 0.8მკგ/მლ.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება მტკნარი, მლაშე წყლების (კალმახი, ორაგული, კარპი) და ზღვის (კაპარჭინა, ზღვის ქორჭილა) თევზების სამკურნალოდ, შემდეგი დაავადებების დროს: ფურუნკულოზი (Aeromonas salmonicida) ვიბრიოზი (Vibrio anguillarum), ერსინიოზი (Yersinia ruckerii) ბაქტერიული ჰემორაგიული სეპტიცემია (Aeromonas hydrophila, Pseudomonas sp.), Columnaris დაავადება (Flexibacter columnaris), სტრეპტოკოკური ინფექციები (ჰემოლიზური და არაჰემოლიზური სტრეპტოკოკის) ზამთრის დაავადებები (Pseudomonas anguliseptica), Edwardsielloasis (Edwardsiella ictaluri, Edwardsiella tarda), პასტერელოზი (photobacterium damsel subsp. Piscidia) ზღვის ფლექსიბაქტერიოზი (Tenacibaculum maritimum) სანაშენე თევზში.

გამოყენების წესი და დოზირება

ფლორვილ აქუა გამოიყენება პერორალურად, თევზის საკვებში შერევით.

ფარმაკოლოგიური დოზა: 10მგ/კგ ც. წ-ზე.

პრაქტიკული დოზა: 0.02გ/კგ ც.წ-ზე.

მკურნალობის კურსი 10 დღე.

თევზის საკვების პროპორცია (ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით) (%)	ფლორვილ აქუა რაოდენობა 1 ტ საკვებზე (კგ)	პრეპარატის რაოდენობა 10 დღიანი მკურნალობის ჩასატარებლად (კგ)
0.5	4	20
1	2	10
2	1	5
3	0.66	3.33
5	0.4	2

საკვების პრეპარატთან ერთად მომზადება:

წინასწარ აწონილი ფლორვილ აქუას რაოდენობა თავსდება მიქსერში ან შემრევში (სუფთა, მშრალი, ზუსტი) და შერევის პროცესში ესხურება 1% ცხიმი. შერევა გრძელდება 2-5 წთ და მიიღება ერთგვაროვანი მასა. პრეპარატის მიღემის წინ თევზი უნდა ვაშიმშლიოთ 12-24 სთ განმავლობაში. საკვებისა და პრეპარატის რაოდენობა, იცვლება წყლის ტემპერატურის და თევზის ზომის შესაბამისად.

გვერდითი მოვლენები

რეკომენდებულ დოზაში გამოყენებისას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები.

დაყოვნების პერიოდი

დაუშვებელია თევზის ადამიანისთვის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში. ადამიანისთვის თევზი საკვებად დასაშვები იქნება მაშინ როდესაც დღეების მიხედვით წყლის ტემპერატურა ჯამში მიაღწევს 550°C.

შენახვის პირობები

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილზე 15-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ვილსანი, თურქეთი.